ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №301725

ნომერი: AR170743

თარიღი : 02.08.2012

გაცემის თარიღი : 23.08.2012

გაცნობის თარიღი : 24.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩაჩავა , N 3 , (ნაკვეთი 07/019) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩაჩავა , N 5 , ნაკვეთი 07/031 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N4 , (ნაკვეთი N7/6) / ქალაქი თბილისი , ქუჩა კ. ჩაჩავა , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ყაველაშვილი პ/ნ 01002018204
- ქ. თბილისი, გლდანის VI მ/რ, კორპ-32, ბ-25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

09.03.12 წ. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №75154 გადაწყვეტილებით დადგენილ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ტექნიკური შეცდომის გასწორებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 08/02/2012 წ. № 170743 განცხადებით მომართა ზურაბ ყაველაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 09.03.12 წლის №75154 გადაწყვეტილებით დადგენილ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ტექნიკური შეცდომების გასწორება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 09.03.12 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, ჩაჩავას ქუჩა №3-ში (ნაკვ. №07.019), ჩაჩავას ქუჩა №5-ში (ნაკვ. №07/031) არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის მიზნით №75154 გადაწყვეტილებით დადგინდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივ აქტში დაშვებული იქნა რამდენიმე ტექნიკური შეცდომა, კერძოდ:
განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა 01.13.02.007.032; 01.13.02.007.019 საკადასტრო ერთეულებზე, აქტის გაცემა მოხდა მხოლოდ 01.13.02.007.032 მიწის ნაკვეთზე. ამასთან, არა სწორად იქნა მითითებული საპროექტო მიწის ნაკვეთის ნომერი, ნაცვლად 07/32-ისა დაფიქსირებულია №07/31, რაც სავარაუდდ გამოწვეულია განმცხადებლის მიერ ელექრეონილი განაცხადის რეგისტრაციისას დაშვებული შეცდომით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.
შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა 09.03.12 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №75154 გადაწყვეტილებით დადგენილ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ნომერი დაფიქსირდეს 07/32, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი დაემატოს - 01.13.02.007.019, მიწის ნაკვეთის ფართობში დაემატოს - 55 კვ.მ.;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას 09.03.12 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №75154 გადაწყვეტილებით დადგენილ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარატავს ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.